ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N4

22.12.2025 წელი **ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**

14:00 საათი **დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი**

მიმდინარე წლის 22 დეკემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თერთმეტი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **შალვა სუთიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე), **დავით ხაბეიშვილი** (კომისიის წევრი), **მამუკა ხაბარელი** (კომისიის წევრი), **ვაჟა კოკაია** (კომისიის წევრი), **შალვა მაისურაძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი) და **შალვა პერანიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის **7** (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომა წარიმართა **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, განათლებისა და კულტურის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, სახელდებისა და სიმბოლიკის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, გარემოს დაცვის და სარევიზიო კომისიებთან** ერთად.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი, წერილი #12-032534442-03, 10.12.2025წ.).
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომლის მოცულობა შეადგენს 2 193 388,7 ათას ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2026 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 110 906,5 ათასი ლარით. აღნიშნული 110 906,5 ათასი ლარი შემოსავლების ნაწილში **შემდეგნაირადაა გადანაწილებული:** პროცენტიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 7 000,0 ათასი ლარით, მშენებლობის მოსაკრებელი 5 000,0 ათასი ლარით, 12 000,0 ათასი ლარით დასუფთავების მოსაკრებელი, ჯარიმები 12 000,0 ათასი ლარით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოიყოფა 50 000,0 ათასი ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2 767,9 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის საკრებულოს რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინება ბიუჯეტის აღნიშნულ ვარიანტში სრულად ვერ მოხდა, მაგრამ გარდამავალი ნაშთის ასახვის შემდეგ შესაძლებელი გახდება, რაზეც დედაქალაქის ვიცე მერმა დეტალურად ისაუბრა წინა სხდომაზე. რაც შეეხება ბიუჯეტის მატებას ის **გადანაწილებულია შემდეგ მიმართულებებზე:** რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციისთვის 40 000,0 ათასი ლარი, 10 000,0 ათასი ლარი დადიანის ქუჩისა და სადგურის მოედნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირებისათვის, 10 000,0 ათასი ლარი სამგორი-ვაზისუბნის დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობისთვის, 11 000,0 ათასი ლარი ნარიყალას ციხის რეაბილიტაციის ბოლო ეტაპი, სიონის და მამა დავითის ტაძრების გადახურვა 3 000,0 ათასი ლარი, 12 000,0 ათასი ლარი თბილსერვისის სპეცტექნიკის შესაძენად, 3 600,0 ათასი ლარი ბაღების მიმართულებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, ლიფტების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 15 000,0 ათასი ლარი. ახალი ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი ნაწილი მთლიანობაში **შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:** ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 350 000,0 ათას ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 30 000,0 ათასი ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 672 413,6 ათას ლარს, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5 064,4 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები 440 539,0 ათასი ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 118 884.8 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია - 53 000,0 ათასი ლარით, 23 000,0 ათასი ლარი პროცენტებიდან მისაღები შემოსავალი ეს გახლავთ დამტკიცებულ ბიუჯეტთან 13 000,0 ათასი ლარით გაზრდილი, ხოლო დაზუსტებულთან მიმართებით 4 000,0 ათას ლარზე მეტით, 50 000,0 ათასი ლარი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, რაც დამტკიცებულზე 10 000,0 ათასი ლარით ნაკლებია, თუმცა დაზუსტებული ბიუჯეტი აქ აღარ შეცვლილა, 132 000,0 ათასი ლარი გახლავთ სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსასვლელი თანხის პროგნოზი, 85 000,0 ათასი გახლავთ სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება გახლავთ 70 000,0 ათასი ლარი.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, მოგახსენებთ ინფორმაციას ახალი **პროექტების შესახებ:** დიდი დიღმიდან დიდუბემდე ტრამვაის ხაზის მშენებლობა/პროექტირებისთვის გამოყოფილია 30 000,0 ათასი ლარი, სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს გზის მშენებლობა, რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა, საბურთალოს რაიონში მდინარე დიღმულაზე გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, ამერის სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების პროექტირების შესყიდვა, აღნიშნული ობიექტის სრულ რეაბილიტაციაზე 20 000,0 ათას ლარამდე დაიხარჯება, გლდანი ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის მუხიანის სარაგბო ბაზის მოედნების რეაბილიტაცია, იგეგმება ოცწლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ბაგებში დახურული ფეხბურთის მოედნის, ღია საცურაო აუზის და პადელის მოედნების სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება, სკვერების მოწყობაზე განსაზღვრულია 24 000,0 ათას ლარზე მეტი მათ შორის დიღმის ჭალების და პირველი რესპუბლიკის სკვერები და თბილისის მყარი ნარჩენების პროექტში ნაჟური წყლების სისტემის გაუმჯობესება. ეს გახლავთ ინფორმაცია ახალ პროექტებზე.

2026 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები **გადანაწილებულია შემდეგნაირად:** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 696 339,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 305 931,3 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 314 760,6 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 62 491,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი; განათლება - 303 331,6 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 258 546,9 ათასი ლარი. ეს გახლავთ ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, არსებობის შემთხვევაში მზად ვარ ვუპასუხო თქვენს კითხვებს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - შალვა სუთიაშვილი, დავით ხაბეიშვილი, მამუკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია, შალვა მაისურაძე, დავით ჭელიძე, შალვა პერანიძე, (7)

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა სუთიაშვილი